



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1192-01-2-201903141819



N 01/1192

14/03/2019



ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 27/03
თარიღი: 20 03 2019 წ.

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს
Nanovero71@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2019 წლის 27 თებერვალს შემოსული თქვენი 2019 წლის 25 თებერვლის №44 წერილის პასუხად წერილით მოთხოვნილ პირველ, მე-2 და მე-3 საკითხებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2018 წელს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში - დეპარტამენტი) გააფორმა სამართლებრივი მომსახურების შემდეგი 4 ხელშეკრულება:

1. 2017 წლის 27 ივნისს გაფორმებული EWHG/CW/ICB-03 ხელშეკრულების (E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის (კმ30+000-კმ42+000) მშენებლობის სამუშაოები (ლოტი 3)) შეწყვეტის მიზანშეწონილობის და ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით იურიდიული დასკვნის მომზადებისთვის საჭირო იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით, დეპარტამენტმა 2018 წლის 15 ოქტომბერს გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს და ს №110-18 ხელშეკრულება (CMR180176006) შპს „დენტონს საქართველო“-სთან (ს/კ: 405187710). ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული მომსახურების ღირებულება შეადგენდა 41 418 (ორმოცდაერთი ათას ოთხას თვრამეტი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

2. დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 4 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში (E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის უბისა-შორაპანის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა) კომპანია „China Railway Tunnel Group Co., Ltd.“-ს მიერ დეპარტამენტისთვის წარდგენილი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის ამოქმედებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების შესახებ იურიდიული დასკვნის მომზადებისთვის საჭირო იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით, დეპარტამენტმა 2018 წლის 15 ნოემბერს შპს „დენტონს საქართველო“-სთან (ს/კ: 405187710) გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს და ს №116-18 ხელშეკრულება (CMR180193154). ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენდა 9 204 (ცხრა ათას ორას ოთხი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის განმავლობაში გაფორმებული სამართლებრივი მომსახურებების ხელშეკრულებებიდან შემდეგი 2 ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, კერძოდ:

3. დეპარტამენტსა და ASTALDI S.p.A.-ს შორის 2017 წლის 6 სექტემბერს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის ლოტი 2 (კმ5+800-კმ 14+050) მშენებლობის მიზნით გაფორმებულ FIDIC-ის (PINK BOOK) ტიპის EWHCIP/CW/ICB-01 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით დეპარტამენტსა და საერთაშორისო იურიდიული კომპანია White & Case-ს შორის 2018 წლის 29 ნოემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს და ს №121-18 ხელშეკრულება (CMR180202545). ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 383 500 (სამას ოთხმოცდასამი ათას ხუთასი) აშშ დოლარს.

4. დეპარტამენტსა და „TODINI COSTRUZIONI GENERALI S.p.A.“-ს შორის 2017 წლის 27 ივნისს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის (კმ 30+000 - კმ 42+000) (ლოტი 3) სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნით გაფორმებულ FIDIC-ის (PINK BOOK) ტიპის EWHG/CW/ICB-03 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით დეპარტამენტსა და საერთაშორისო იურიდიული კომპანია White & Case-ს შორის 2018 წლის 17 დეკემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს და ს №127-18 ხელშეკრულება (CMR180221137). ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 147 500 (ას ორმოცდაშვიდი ათას ხუთასი) აშშ დოლარს.

რაც შეეხება წერილის მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებულ საკითხებს, დეპარტამენტსა და „Road Building ALTCOM“ LLC-ს შორის E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი I, კმ0+000-კმ 11+500) მშენებლობის მიზნით 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებულ FIDIC-ის (PINK BOOK) ტიპის EWHG/CW/ICB-01 ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი დავის წარმოებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტმა 2017 წლის 18 ივლისს კონტრაქტორს გაუზიარა შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების შესაბამისად, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა განიხილოს საერთაშორისო არბიტრაჟმა, საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) საარბიტრაჟო წესების მიხედვით. დავის დაწყების მიზნით დეპარტამენტმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად დაიწყო შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები, კომპანიისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნით. რაც შეეხება ხელშეკრულების ფარგლებში „Road Building ALTCOM“ LLC-სთვის, ხელშეკრულების შესაბამისად ჩარიცხულ ავანსის თანხას, დეპარტამენტი მის დასაბრუნებლად ახორციელებს სამართლებრივ ქმედებებს როგორც თავად Road Building ALTCOM“ LLC-ს, ასევე, ხელშეკრულების ფარგლებში მის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის გამცემი უკრაინაში მდებარე ბანკის PSC PROMINVESTBANK-ს მიმართ. დეპარტამენტმა არაერთხელ მიმართა „Road Building ALTCOM“ LLC-ს მიღებული ავანსის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა, უშედეგოდ (2017 წლის 30 ოქტომბერს, 2018 წლის 27 თებერვალს და 2018 წლის 19 ოქტომბერს).

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტმა ორჯერ (2017 წლის 5 დეკემბერს და 2018 წლის 15 მარტს) მიმართა საბანკო გარანტიის გამცემ ბანკს - PSC PROMINVESTBANK-ს საბანკო გარანტიის ამოქმედების მოთხოვნით, თუმცა, ორივეჯერ (2017 წლის 12 დეკემბერს და 2018 წლის 27 მარტს) მიიღო უარი სხვადასხვა დაუსაბუთებელი საფუძვლებით. ამასთან, ბანკი ითხოვდა ბენეფიციარის

(დეპარტამენტი) ბანკის მიერ გაცემულ ცნობას (certificate) იმის მითითებით, რომ ავანსის ჩარიცხვა მოხდა კონტრაქტორის ანგარიშზე PSC PROMINVESTBANK-ში (ინგლისურად: the advance payment has been credited to „Road Building ALTCOM“ LLC on its account number at PSC PROMINVESTBANK).

დეპარტამენტმა მიმართა ეროვნულ ბანკს და სთხოვა ცნობა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ავანსის გარანტიაში მითითებული ავანსის თანხა ალტკომს ჩაერიცხა თავის ანგარიშზე PSC PROMINVESTBANK-ში (ინგლისურად: the advance payment has been credited to „Road Building ALTCOM“ LLC on its account number at PSC PROMINVESTBANK). ეროვნულმა ბანკმა დეპარტამენტს გამოუგზავნა ცნობა, სადაც მითითებულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის დავალებით შუამავალმა ბანკმა - „Deutsche Bank“ შესაბამისი თანხები ჩარიცხა PSC PROMINVESTBANK-ის ანგარიშზე ამ უკანასკნელის მიერ ალტკომის ანგარიშზე PSC PROMINVESTBANK-ში ჩარიცხვის მიზნით. თუმცა ამ ცნობიდან არ დასტურდებოდა ალტკომის ანგარიშზე PSC PROMINVESTBANK-ში ჩარიცხვის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ცნობა არ ასახავდა ალტკომის ანგარიშზე PSC PROMINVESTBANK-ში ჩარიცხვის ფაქტს, დეპარტამენტმა აღნიშნული ცნობის საფუძველზე ხელახლა გამოითხოვა ავანსის გარანტია, ამასთან, დეპარტამენტმა მიმართა ეროვნულ ბანკს განმეორებით რათა მოეპოვებინა მოთხოვნილი ცნობა, ვინაიდან არსებობდა ბანკისგან ხელახლა უარის მიღების რისკი. ეროვნულმა ბანკმა 2018 წლის 22 მარტს დეპარტამენტს აცნობა, რომ მის მიერ მოთხოვნილ ცნობას ვერ გასცემდა, ვინაიდან შუამავალ ბანკს გარანტი თანხის ჩარიცხვის ფაქტს არ უდასტურებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტმა 2019 წლის 4 იანვარს საერთაშორისო იურიდიულ კომპანია White & Case-სთან გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს და ს №18-19 ხელშეკრულება (CMR190007060), რომლის ფარგლებშიც White & Case-მა უნდა განიხილოს „Road Building ALTCOM“ LLC-ს მიერ ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისა და ავანსის თანხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული საკითხები, საჭიროების შემთხვევაში, საბანკო გარანტიების ამოქმედების წერილის შედგენა, საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული მასალების მომზადება უკრაინაში გასამართი სასამართლო პროცედურებისთვის, უკრაინის ყველა ინსტანციის სასამართლოში დეპარტამენტის ინტერესების წარმოდგენა. ამასთან, White & Case-მა დეპარტამენტს უნდა გაუწიოს ყველა ის სამართლებრივი კონსულტაცია, რომელიც გამომდინარეობს საბანკო გარანტიებიდან. აღნიშნული მომსახურების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 649 000 (ექვსას ორმოცდაცხრა ათასი) აშშ დოლარს დღ-ის გარეშე. ამდენად, დეპარტამენტი უკვე საერთაშორისო იურიდიულ კომპანია White & Case-სთან ერთად ახორციელებს შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს PSC PROMINVESTBANK-ს მიერ გაცემული ავანსის თანხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საბანკო გარანტია შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ შემუშავებული მოთხოვნის გარანტიების ერთიან უნიფიცირებულ წესებს (№758 გამოცემა), რომლის თანახმადაც, საბანკო გარანტიების მიმართ მოქმედებს გამცემი ბანკის ქვეყნის სამართალი. ამ შემთხვევაში, ვინაიდან, საბანკო გარანტიის გამცემი ბანკი მდებარეობს უკრაინაში და, შესაბამისად, საბანკო გარანტიის მიმართ მოქმედებს უკრაინული სამართალი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლებრივი დავა უნდა წარიმართოს უკრაინაში. შესაბამისად, აღნიშნული გარანტიების მიმართ დავა ვერ იწარმოება საქართველოში. რაც შეეხება სხვა სამართლებრივ ღონისძიებებს, აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 მაისის №11ა-1770-15 განჩინებით, გაიცა ნებართვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე და დეპარტამენტიდან ამოღებულ იქნა E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ0+000-კმ11+500 (ლოტი I) მშენებლობის ტენდერთან დაკავშირებული სრული სატენდერო დოკუმენტაცია. ამ ეტაპზე, დეპარტამენტისთვის ცნობილი არ არის აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოში სისხლის სამართლებრივი სხვა დონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

წერილის მე-6 პუნქტში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დეპარტამენტს და ASTALDI S.p.A-ს შორის 2017 წლის 6 სექტემბერს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის ლოტი 2 (კმ5+800-კმ 14+050) მშენებლობის მიზნით გაფორმებულ FIDIC-ის (PINK BOOK) ტიპის EWHCIP/CW/ICB-01 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სამართლებრივი დავის მდგომარეობას, აღსანიშნავია, რომ ASTALDI S.p.A-ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, დეპარტამენტმა ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დეპარტამენტმა ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე აამოქმედა ხელშეკრულების ფარგლებში „ASTALDI S.p.A.“-ს მიერ წარმოდგენილი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისა და ავანსის თანხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები და მათ საფუძველზე გარანტიების გამცემა ბანკმა ჩარიცხა შესაბამისი თანხები - ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე - 35 372 942 (ოცდათხუთმეტი მილიონ სამას სამოცდათორმეტი ათას ცხრაას ორმოცდაორი) ლარი, ხოლო ავანსის თანხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე - 21 223 764.94 (ოცდაერთი მილიონ ორას ოცდასამი ათას შვიდას სამოცდაოთხი ლარი და ოთხმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი, 4 938 802.97 ევრო (ოთხი მილიონ ცხრაას ოცდათვრამეტი ათას რვაას ორი ევრო და ოთხმოცდაჩვიდმეტი ევროცენტი). ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს სამართლებრივი დავა არბიტრაჟში.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი

